საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება №7

2020 წლის 11 აგვისტო

ქ. თბილისი

ბავშვზე მორგებული სარჩელისა და სასამართლო უწყების ფორმების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1.

საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს ბავშვზე მორგებული სასამართლო ფორმები:

ა) სარჩელი (ბავშვზე მორგებული) – დანართი 1;

ბ) სასამართლო უწყება (ბავშვზე მორგებული) – დანართი 2.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის

უმაღლესი საბჭოს მდივანი

სარჩელი

(ბავშვზე მორგებული)

თუ ფიქრობთ, რომ თქვენი უფლება დაირღვა, შეგიძლიათ დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით მიმართოთ სასამართლოს. ამისათვის აუცილებელია სარჩელის ფორმის შევსება. ამ ფორმის შესავსებად, თქვენ შეგიძლიათ ვინმე დაიხმაროთ (ოჯახის წევრი, მეგობარი და სხვა). შეეცადეთ, არაფერი გამოტოვოთ და ყველა ნაწილი შეავსოთ. თუ შევსებისას კითხვები გექნებათ, დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე (995 32) 2273100 და ჩვენ დაგეხმარებით. თუკი რომელიმე ნაწილის შევსებას ვერ მოახერხებთ, თქვენ მიერ შევსებულ ფორმას სასამართლო მაინც მიიღებს. ნიმუშისთვის ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სად მივიტანო სარჩელი?

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

შევსებული ფორმა ასევე შეგიძლიათ გამოაგზავნოთ შესაბამისი სასამართლოს ელექტრონულ მისამართზე, რომელიც შეგიძლიათ ნახოთ პორტალზე: court.ge

რას აკეთებს სასამართლო სარჩელის წარდგენის შემდეგ?

თქვენი სარჩელი გადაეცემა მოსამართლეს. მოსამართლე არის ადამიანი, რომელიც ყურადღებით გაეცნობა თქვენს მოთხოვნებს, საჭიროების შემთხვევაში დაგიკავშირდებათ, ასევე დაგინიშნავთ ადამიანს, რომელიც თქვენს ინტერესებს დაიცავს და მიიღებს თქვენი ინტერესების შესაბამის გადაწყვეტილებას.

მონაცემები თქვენ შესახებ:

სახელი, გვარი _____

პირადი ნომერი *(პირადი ნომერი ჩაწერილია* _____

დაბადების მოწმობაში, პირადობის მოწმობაში და პასპორტში)

საცხოვრებელი ადგილი/მისამართი _____

მობილური _____

მონაცემები იმ ადამიანის შესახებ, რომელმაც დაარღვია თქვენი უფლება:

სახელი, გვარი _____

პირადი ნომერი *(პირადი ნომერი ჩაწერილია* _____

დაბადების მოწმობაში, პირადობის მოწმობაში და პასპორტში)

საცხოვრებელი ადგილი/სამუშაო ადგილი _____

მობილური _____

გთხოვთ აღწეროთ, რაში გამოიხატა თქვენი უფლების დარღვევა

_____

_____

რა არის თქვენი მოთხოვნა?

_____

გთხოვთ, დაურთოთ ნებისმიერი დოკუმენტი, რომლითაც თქვენი მოთხოვნის დადასტურებას შეძლებთ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

_____

ხელმოწერა: ---------- თარიღი ----------

დანართი 2

სასამართლო უწყება
(ბავშვზე მორგებული)

სასამართლო უწყებით თქვენ გეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი. იმისათვის, რომ სასამართლო უკეთესად გაერკვეს თქვენს მოსაზრებებში, აუცილებელია უწყებაში მითითებულ დროს გამოცხადდეთ სასამართლოში. სასამართლოში გამოცხადებით თქვენ სასამართლოს მომხდარის სწორად შეფასებაში და გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარებით. ასევე, შეგიძლიათ თქვენი მოსაზრება სასამართლოს წერილობით გაუზიაროთ. კითხვების არსებობისას დაგვიკავშირდით ნომერზე ---------- და ჩვენ დაგეხმარებით.

უწყების გაგზავნის თარიღი „------“ „----------“ 202 წ.

სასამართლოს სახელწოდება

თქვენ ----------

სასამართლოში დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, სახელწოდება

დასაბარებელი პირის მისამართი ----------

მხარის (მხარის წარმომადგენლის) მიერ მითითებული მისამართის მიხედვით

გთხოვთ, მობრძანდეთ: სასამართლო სხდომაზე თქვენი პოზიციის გასაზიარებლად

---------- სახით, 202 წლის „-------“ „----------“ „----------“ საათზე.

დასაბარებელი პირის სტატუსი

შემდეგ მისამართზე: ---------- სხდომის დარბაზი №--

მოსარჩელე ----------

მოპასუხე ----------

მოთხოვნა ----------

მოსამართლე/ ---------- მოსამართლის თანაშემწე/ ----------

სახელი, გვარი

სახელი, გვარი

სასამართლოს ---------- ---------- ----------

ტელეფონი ფაქსი ელექტრონული მისამართი